# თეატრი და ცხოვრება

ფასი 10 მანეთი

№ 5

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

## „თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი—10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, თებერვლის 8 | გამოსვლა 1920 წ.




კომპ. ანდრია ნიკოლოზის-ძე ყარაშვილი
სამუსიკო სამსწ. მოღვაწ 25 წ. შესრულების გამო.



მარიამ ივანეს ასული დემურია
გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების გამო.



მსახიობი გ. არადელ-იშხნელი
(გარდ. თებერ. 1 გორში, დაკრძალეს 5 თებერ. არადეთში).



ივანე გრიგოლის-ძე ტერ.-გრიგორიანი
დამსახურებული მწიგნობარ-სცენ. მოყ. სასცენო-სამწერლო მოღვაწეობის 50 წ. შესრულების გამო.
მისი იუბილე გაიმართება თებერ. 9-ს.

# საიმედო ნიშნები

გასულ კვირას ქართ. დრამატიული საზ-ის გამგეობა ჩამოყალიბდა. გამგეობაში არჩეულ იქმნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწე-მწერალნი. თითოეული მათგანის სამწერლო, საზოგადოებრივი და პარტიული მუშაობა, აგრეთვე პიროვნული ღირსება, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამიერიდან ქართულ დრამას ღირსეული მზრუნველი გაუჩნდა, თუ... თუ, რა თქმა უნდა, ეს არჩევნები მხოლოდ სახელობითი არ იქმნა, როგორც ხშირად ყოფილა, მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ახალი გამგეობა ქართულ დრამის საქმეს ჩვენებურად, ძველებურად, სასხვათაშორისოდ არ მოეპყრობა, და მთელის თვისის ძალ-ღონით ეცდება ქართული თეატრი, არა თუ მხოლოდ თბილისში, მთელ საქართველოშიც, სწორე და ნათელ გზაზე გაიყვანოს. ეს მით უფრო შეუძლიან, რომ საამისოდ ხელს უწყობს თავისუფალი სამშობლო—ხალხის სიყვარული, ერის ნდობა, ქონება და მთავრობის დახმარება!..

ჯერი მათზეა, ვნახოთ რამდენად გაამართლებენ ჩვენის მელპომენის სანატრელს...

ჩვენის მხრით-კი სრულ გამარჯვებას ვუსურვებთ!

* * *

არა ნაკლებ სასიამოვნო ცნობა მივიღეთ ბათომიდან: აქ შემდგარა ქართველ მუსლიმანთა დრამატიული წრე, რომელსაც მიზნად დაუსახავს აჭარა-ქობულეთში ქართული წარმოდგენები მართოს.

ეს ისეთი მოვლენაა, რომ საუკუნიდან საუკუნეში თუ მოხდება ხოლმე და ჩვენ ადრევე შეგვიძლიან გამარჯვება ვიდღესასწაულოთ: ქართულმა თეატრმა შეჰქმნა ერთი ქართულ-ეროვნული აზროვნება, გაერთიანების გზას შეუყენა ლაქსაქსული ქართველობა, სიბნელის და უვიცობიდან გამოიყვანა და გვწამს ამავე როლს შეასრულებს ჩვენს ძმა ქართველ-მუსლიმანთა შორის.

ჩვენი გულწრფელი, გულითადი სალამი ქართველ-მუსლიმანთ შორის მშობლიურ თეატრის პირველ მერცხლებს,—დაე, ნუმც ჩაიჩოქებს მუხლი მათი ნარ-ეკლით მოსილ ხელოვნების გზაზე: ღრმად სწამდეთ, რომ ბრწყინვალე მომავლის მოციქულნი იგინი არიან... ოღონდ მათი მუშაობა იყოს ადრევე დაგეგმილი, შერჩეული რეპერტუარით და ნიჭიერ ძალებით!..

სალამი და გამარჯვება ჩვენს ძმებს!..

**იოსებ იმედაშვილი**

# მ უ ზ ა ს

მსურს უცხო ჰანგი გამოვსძებნო, ვსთქვა რამ ახალი,
ალარავისას ალარ ჰგავდეს ჩემი სიმღერა;
ახალ ცხოვრებას რომ ახალი გავავლო კვალი,
მევე გავსჭედო ჩემი ჰუნე და ბედის წერა...

მუზავ კეთილო, არ დამაკლო, ხშირად მეწვიე,
ტკბილის ოცნებით დამასვენე პარნასის მთაზე;
შენთან საუბარს, ნაზ გალობას თუ მივეჩვიე,
ჩემი ლექსები იტყვის რასმე ჩემს აქ ყოფნაზე...

და თუ დავმარცხდი, ველარ შევსძელ ლაჟვარდში ფრენა,
სურვილთა ზღუდე შორს დამირჩა მიუწდომელი,
არ ჩამიმწარო სვე-უკუღმართს სულისა ლხენა,
უკანასკნელი მათქმევინე საგალობელი...

**ბ. პელაშვილი**

# მსახიობი გიორგი იმხნელი

ჩაჰქრა ვარსკვლავი ქართულ დრამისა.

გარდაიცვალა გამოჩენილი მსახიობი ქართული სცენისა გიორგი არადელ-იმხნელი.

ეროვნულ ხელოვნების დიდი დანაკლისია...

ვლ. ალექსი-მესხიშვილის გაქცევის შემდეგ, მშიერი სიკვდილის და საზოგადოების გულცივობისაგან, ქართული დრამა ამაყობდა მისი ღირსეულ მემკვიდრე გიორგი იმხნელის სახელით.

მან შექმნა მთელი გუნდი ეროვნულ ტიპებისა

გიგა, გაბო, ლევან ხიმშიაშვილი, ანანია, შაჰი, და მრ. სხ. აი მისი შეუდარებელი ეროვნული ამპლუა.

კარგი იყო იგი თარგმნილ პიესებშიაც.

მშვენიერი სასცენო ხმა, გასაკვირველი მიმიკა, გრძნობა. შეთვისებული სასცენო ტეხნიკა—აი საუკეთესო მისი სამსახიობო თვისებანი

რა როლშიაც უნდა გამოსულიყო, ყოველთვის სტოვებდა სრულ მხატვრულ შთაბეჭდილებას.

გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზდა...

მას შეეძლო საკუთარი სკოლის შექმნა...

მაგრამ სამარეში ჩასვლასის, მან თან ჩაიტანა ქართული დრამის დიდ ბა.

და დამწვარ ქართულ დრამატიულ თეატრის ნანგრევებზე აღმართა შავი სამგლოვიარო დროშა.

**სვ. წერეთელი**

# პიროვნების ტრაგედია

**(არადელ-იმხნელი)**

რაც გიყვარს, სწორეთ ის
მოგიღებს ბოლოს

**გიუდე-მოპასანი**

მოპასანის ეს სიტყვები სწორედ არადელ-იმხნელზე ითქმის. მას უყვარდა ხელოვნების უმშვენიერესი დარგი—სცენა. უყვარდა ისე გატაცებით, ისე გაგიჟებით, რომ ეს მძლავრი სიყვარული მას ვერ აეხსნა სხვისთვის.



**სამსონ ნიკოლოზის-ძე დათეშიძე**

ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის დამსახურებული მასწავლებელი. იმსახურა ამ გიმნაზიაში თითქმის დაარსებიდან 37 წ. ავტორი 1) „ქართული წერის დედნისა“ და 2) „არითმეტიკული ამოცანათა კრებულისა“ (ნაწევრები). ეს კრებული ამ დღეებში გამოვიდა მეოთხე გამოცემად. გარდა ამისა, რაჭაში აგროვებდა ხალხურ ნაწარმოებს: ზღაპრებს, ლექსებს, შაირებს, ლეგენდებს, ანდაზებს. ამათ ბეჭდავდა „ჯეჯილში“, „ნაკადულში“ და სხ. დღიურ გაზეთებში კორესპოდენციებს ათავსებდა: ცნობილია, როგორც კარგი მასწავლებელი, სახალხო მუშაკი და მამულიშვილი.

---

არადელ იშხნელი ძლიერი და ურყევი იყო, როცა ანსახიერებდა.

არადელ-იშხნელი ტიტანი იყო, როცა ცხოვრებას ხელოვნებით ქმნიდა.

უალდის ენით რომ ვთქვათ, „მან შექმნა პირველში მისი ხელოვნური სიმბოლიური სახე.“

დიაღ „ხელოვნური და სიმბოლიური“ სახე.

და აქ სათუთი მგრძნობიერი იყო მისი სული.

ის სიმბოლო იყო ჩვენი სცენისა და განა მიწიერნი სულით დამძიმებულნი ასეთს მომავლის სიმბოლოს მისწვდებოდენ.

და ვერც მისწვდენ, ვერ გაიგეს მისი სული.

ვერ შეიგნეს ადამიანი, ვერ მისცეს მას გზა ფართო, რომ სიმბოლო ხორცად ქცეულიყო.

და ჩვენი დაბნელებული სცენა განათებულიყო.“ იშხნელი მეეტლე—და ეს უხმო პროტესტი იყო.

იშხნელი—მიწის მუშა,—ეს ხომ ჩვენი სცენის დაცემის ცოცხალი მაგალითი იყო.

აი, უდიდესი ტრაგედია პიროვნებაში სულიერათ გადაწერვისა.

ჩვენი თეატრის ისტორიას ეს სირცხვილის წამებული აჩრდილი მუდამ შავ არშიად გაევლება

იშხნელი ძლიერი შემოქმედი იყო სცენაზე, მაგრამ ის სუსტი იყო ცხოვრებაში და ამ დუალიზმმა შეიწირა იგი.

თუ ის გახდებოდა ჩვეულებრივი ადამიანი, სულით დაეცემოდა მისი ძლიერი ნებისყოფა, ფართო ნიჭი მოთხოვდა ხელოვნებით ზიარებას.

და ის ცივმა გრძნობებმა გვერდზე მიაგდო და ასე ძლიერმა ხელოვნების ღვთიურმა ცეცხლმა ფერფლად აქცია მისი ფიზიკური სახე.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო და აღსრულდა კიდეც.

და დღეს ჩვენგანვე შექმნილ გოლგოთაზე ჩვენივე ხელით აღმართულ წამების ჯვარზე, ნაზარეველისებრ სათნოებით დასცქერის ჩვენს თეატრს და, თითქოს, ამბობს:

„ნუ თუ დღესაც, ერის განახლების დროს, უნდა განმეორებულიყო ისტორია და წამების ჯვარზე უნდა აგეყვანეთ?“

იქნებ ჩვენი საზოგადოება იშხნელისგან ქრისტესებურათ მოელის: „შეუნდე უფალო, რამეთუ არ იციან რასა იქმონან!“

არა, არადელ იშხნელის წამებული სახე ამას არ გვეტყვის; ის ყველას მსაჯულის სახით გვევლინება და თვისივე გიგანტური ხმით გვიყვის: —რისთვის?! რისთვის!!

კ. გერგესელი

# ბრუდე გზა

იასონი ის იყო თავის ბნელ და ნესტიან ოთახიდან გამოვიდა. ჯერ კარებს არც კი გასცილებოდა, რომ ფოსტალიონმა კონვერტით წერილი გადასცა. იასონმა გახია და მოუთმენლად დაიწყო კითხვა. თანდათან მღელვარება ეტყობოდა, ხელებმა კანკალი დაუწყო.

დედა სწერდა: „შვილო, რათ დაივიწყე შენი გაჭირვებული ოჯახი. ზამთარი კარს მოგვდგომია. პური ჩვენ არ გაგვაჩნია და ტანთსაცმელი. შიმშილით და სიცივით ვიხოცებით. გამოგვიგზავნე ფული მალე, უნდა გვიპატრონო“.

იასონმა წერილი უბეში ჩაიდო. რამოდენიმე ხანს იდგა ერთ ალაგას შუბლ-შეკრული და სასოწარკვეთილი.

ღმერთო ჩემო, რა ვყო, რა წყალში ჩავარდე? რით უნდა ვაცხოვრო ამ სიძვირეში: მე თითონ უსაქმურად დავდივარ, ნახევრად მშიერმწყურვალი... არა, მეტი გზა არ არის, ხვალვე სოფელში უნდა წავიდე, სახლს მივეპატრონო.

— იასონმა ღამე მოუსვენრად გაატარა. მეორე დღეს დილაადრიან სოფელ წიფლიანის გზას გაუდგა.

კარგა შებინდებული იყო, რომ წიფლიანის ორღობეებს მიაღწია. წუთის შემდეგ მოულოდნელად სახლში მივიდა.

— შვილო, ასე უცბად რად წამოსულხარ, ავად ხომ არა ხარ, გენაცვალოს დედა?—ჰკითხა აღელვებულმა ელისაბედმა და თან კოცნა დაუწყო შვილს. პატარა და-ძმაც მისცვივდნენ და ყელზე მოეხვივნენ.

— რად წამოსულხარ შვილო? შეეკითხა კიდევ ელისაბედი, როცა დამშვიდდნენ.

— რათა და აუტანელი სიძვირისა და გაჭირვების გამო მუშებმა მოვითხოვეთ ჯამაგირის მომატება. ქარხნის პატრონმა უარი გვითხრა. მუშები გავიფიცენით. გვეგონა, დავიმორჩილებდით და ჩვენს მიზანს მივახწევდით, მაგრამ ხაზეინმა ქარხანა დაკეტა და ჩვენ ყველანი დაგვითხოვა. ახალი ადგილის შოვნა გაგვიძნელდა. ჩავცვივდით ერთ უბედურება-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ში. აი, რა იყო ჩემი წამოსვლის მიზეზი. ფული სრულებით არა მაქვს, თუ უწინ გადავარჩინე რამე, ხომ წვრილ-წვრილად თქვენ გიგზავნიდით და მეც ცხოვრება მინდოდა. ახლა, დედი, ვფიქრობ სოფელში დავრჩე, მიწას მოვკიდო ხელი, ვიმუშაო და იქნებ როგორმე ფეხზე წამოვაყენო ოჯახი.

ელისაბედმა აზრი მოუწონა.

გავიდა რამდენიმე ხანი, ელისაბედი შვილის შემოტანილზე არ კმაყოფილდებოდა, მუდამ უსაყვედურებდა:

—ხედავ, ჩვენებიანთ ტიმოთეს, როგორ აავსო სახლი: რომ შეხვიდე გამოსვლა აღარ გინდა; თავის დას ხომ მთელი მზითევი ჩაულაგა და გაათხოვა. სასმელ-საჭმელი არ აკლიათ, ჩიტის რძე რომ მოიკითხო—აქვთ, და აკი იმისი დედა კეკე გახარებულია, უდარდელი. იმისი კალატოზი ქმარი, რასაც კვირის-კვირობამდინ მუშაობდა,—ღვინოში ხარჯავდა, შვილი კი ეგრე კარგი გამოუვიდათ. მე ვიცი სხვასავით დღე და ღამეს არ ასწორებდეს, ვერც კი ვინმე იგებს საიდან მოაქვს.—ბიჭო შვილო, შენ რაღა დაგემართა, თვალი არ გაკლია და ტანი, ეხლა ისეთი დროა, ყველა ფულით ივსება, შენ კი იმდენს ვერა შოულობ, სახლში არა შემოგაქვსრა. ვითომ ვიზე რა ნაკლები ვართ, ჩვენც გვინდა კარგი ჭამა და ჩაცმა-დახურვა.

თითონ ელისაბედი-კი ხელთუპყარი დედაკაცი იყო, მთელი დღე მეზობლებში ჭორიკანობდა.

დედის სიტყვების გაგონებაზე იასონი იტანჯებოდა. ცდილობდა როგორმე აესრულებინა დედის დაჟინებული სურვილი, მაგრამ ამაოთ: თუმცა ბევრს მუშაობდა, რაც კი, ჩეეძლო ყველაფერი შემოჰქონდა სახლში, მაგრამ დედა მაინც განაგრძობდა საყვედურს.

სოფელში იყო კოოპერატიული დუქანი. დუქნის საქმე ცუდათ მიდიოდა. სოფლელებმა იასონი ჩააყენეს, როგორც საზოგადო საქმეებში გამოცდილი კაცი...

იასონი უწინ პარტიაში მუშაობდა. ამხანაგებსაც ძლიერ უყვარდათ და აფასებდნენ, როგორც სამშობლოს და მშრომელ ხალხისთვის თავდადებულს. ეხლა-კი, თანდათან ამხანაგებს ჩამოშორდა, თავის სახლსა და ახალი ცხოვრების ზრუნვამ გაიტაცა. საზოგადო საქმე სრულიად მიივიწყა. ახალი ამხანაგები გაიჩინა. ფულიც ბევრი შეიძინა.

იასონი მუდამ დროს გატარებასა და ქეიფში იყო, ფულს დაუზოგავად ხარჯავდა, სახლში იშვიათად მოდიოდა ხოლმე. იასონი აჰყვა უსაქმურ ამხანაგებს და მეგობრებს, რომლებსაც უწინ ახლოც არ გაუვლიდა. დაუძახებდნენ თუ არა: „აბა, იასონ, წავიდეთ დუქანში!“ იმ წუთში უკან გაჰყვებოდა ხოლმე. რაც იასონს აქნობამდინ სათაკილოთ და უპატიოსნოთ მიაჩნდა, ეხლა გაუადვილდა და ყველაფერს შეეჩვია; აი, ეს იყო მიზეზი, რომ იასონ ნამგალაშვილს ყველანი ეჭვის თვალით უყურებდნენ და ათას გვარ ხმებს ავრცელებდნენ მის შესახებ.

ელისაბედის სიხარულს ხომ საზღვარი არა ჰქონდა. ხშირად იტყოდა ხოლმე:

—თავს შემოვევლე ჩემს იასონს, თუ სკოლები არ გაუთავებია, სამსახურში არ არის და ზოგიერთებივით ქრთამებს არ იღებს ან ხარბი ვაჭარივით არავის ატყუებს, ვერ გვაცხოვრებს. თუ, ვენაცვალე ღვთის სამართალს, მართალია ქმარი ადრე მომიკვდა, მაინც კარგი შვილი წამომესწრო; წინად თუ დაუდევარი იყო, ცხოვრების უნარი არა ჰქონდა, ეხლა სულ სხვა გახდა, გამოფხიზლდა.

---

...გიორგობისთვის შუა რიცხვები იყო, ცა სათოვლედ მოღრუბლულიყო, ნელნელა ბარდნიდა, მთელი მთა და ბარი თოვლის სამოსელში ეხვეოდა. სოფელში ქორწილები უკვე გახშირებულიყო, ახლად ჯვარდაწერილები მეფე-დედოფალი იასონი და თამროც სტკბებოდნენ ბედნიერებით. ელისაბედს ყველანი შვილის ბედნიერებას ულოცავდნენ და იგიც მადლობას უხდიდა, თან აღტაცებით შესცქეროდა ლამაზათ და ძვირფასად მორთულ პატარძალ თამროს, რომელიც სახლში დატრიალებდა. აგერ ერთი მანდილოსანი ქალი შემოვიდა და მისალმების შემდეგ მიმართა ელისაბედს:

— ქა, როგორ, ყველაფერი შეგიძენიათ, სახლი რა მშვენივრად შეგიკეთებიათ და მოგიწყვიათო.

ის იყო გახარებულ ელისაბედს უნდა ეპასუხნა, რომ უცებ კარი გაიღო და სახლში შემოვარდა გულგახეთქილი და ფერ-წასული იასონი, თან შემოჰყვნენ შეიარაღებული მილიციონერები.

— დაიჭით კაცო, რაღას უყურებთ, ჩქარა შეჰკრათ.

ზარდაცემული თამრო კუნჭულში ატუზულიყო, გაოცებული შესცქეროდა მილიციონერებს. იასონმა თავის მეუღლეს საჩქაროთ რაღაც უჩურჩულა. ელდა-ნაცემი ელისაბედი კი ჰკიოდა და თვალ-ცრემლიანი ეხვეწებოდა.

— რათ იჭერთ ჩემს შვილს, გაანთავისუფლეთ, არაფერი დანაშაული არ მიუძღვისო.

შეშინებული ბავშვები გულსაკლავად სტიროდნენ და წიოკობდნენ.

იასონი თავსა მართლულობდა: კოოპერატიულ დუქანში მე პირნათლად შევასრულე ჩემი მოვალეობა, ანგარიში სულ გასწორებული მაქვს. საზოგადოების ფულის გაფლანგვაში მე არაფერი მონაწილეობა მიმიღია. ჩემმა ამხანაგებმა ტყუილ-უბრალოთ ცილი დამწამესო.

მილიციონერებმა მაინც ბრძანება აასრულეს და იასონი კონდახის ცემით საპყრობილეში წაიყვანეს...

**მარიამ წინამძღვრიშვილისა**

# მუშა

მე მუშა ვარ, ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი,
ის აღარა ვარ, რაც ვიყავი უღონ-უგონო,
ბრძოლის შვილი ვარ, ზღვის ტალღებთან მოლაპარაკე,
ნურვის ჰგონია უმეცრებით ვეყმო, ვემონო.

ჩემი ოცნების სიმბოლოა ალთქმული მხარე,
ნაცვლად მტრობისა,—სიყვარული და ხალხთ ერთობა,
თან იდეალი ქვეყნად ტანჯულ კაცობრიობის,
ურთი-ერთ შორის სიყვარული, ძმური თანხმობა.

ჩამომეცალეთ, აწ დრო დადგა გამოფხიზლების,
რაღად გგონია კიდევ ვიყო უღონ-უგონო,
ბრძოლის შვილი ვარ, ზღვის ტალღებთან მარად შეზრდილი,
ტყვილი ფიქრია მომავალში გეყმო-გემონო!..

ი. მეგრელიძე

# განცდათა კარნახი

## III

### ორი სიმი

ა

როცა ჭიანურს აიღებდა ხელში და მიწყნარებულ სიმებს აახმაურებდა, ყველა მსმენელნი გარინდებულნი, ციურ ნეტარებით გატაცებულნი მიჰყვებოდნენ ხმათა ბგერას.

პაწია, ცამეტი წლის დამკვრელი-კი, ვით წვირა, მთელი არსებით ექსოვებოდა იდუმალ განცდას.

მისი ჰასაკი ჯერ კიდევ ვარდის ყლორტი იყო, რომელსაც მასსავე სულში შექმნილი ჰარმონია მაცოცხლებელ ნამად ეპკურებოდა.

და იშლებოდა პაწია ყვავილი.

მოელოდა, რომ ბულბული მას დაინახავდა და მღერის საგნად გაიხდიდა.

...და ის მუდამ უკრავდა თავის ჭიანურს.

როცა სიმები მხიარულ ჰანგს გამოსცემდენ, ის ვარდის ფრად იღიმებოდა.

როს სიმები მწუხრის აკორდით აქვითინდებოდენ, ისიც მოიწყენდა.

და იმ დღესაც პაწია მივიდა, ვით სათუთი ანგელოსი თავის წმინდა ქნართან, ნელა აიღო, შორეულ სივრცეში წერტილს მიაპყრო უმწიკვლო თვალები და... ჭიანური აკვნესდა, აქვითინდა...

მისი სახე განცდათა ღივღივმა მთიებს დაამსგავსა.

თვალები მგზნებარე ცეცხლის ნაპერწკლების ლამაზ რგოლებათ გამოიყურებოდენ.

მისი სული რკალი იყო და სიმები გულის სიღრმეში ჰქონდა გადაბმული...

ვერვის ამჩნევდა... მელოდიას გაიტაცა.

ყურებს მასწავლებელი პაწია მოწაფეს.

ახმაურდა ჭიანური.

მოწაფე გაიმალა, სრულქმნილი შეიქმნა მასწავლებლის წინაშე.

ჭიანურის სიმთა კვნესა და ნორჩი გულის მასთან დაკავშირება ამთლიანებს სმენას.

და მასწავლებელი შეირყა.

პირველი განცდა შემოქმედებისადმი პატივისცემასა რადაც გრძნობამ გაიტაცა.

ღვთიური ცეცხლი ჩაქრა მასში და მასწავლებელი თრთის, კანკალებს...

მღერის პაწია და ამ სიმღერაში ისმის ძახილი მონაზებულ მომღერლისა, ძახილი ისეთი, რომელსაც მხოლოდ მასწავლებელი გრძნობით ისმენს.

და მასწავლებლის არსებაში ვიღაცამ გაიხითხითა, გრძნობათ აენთო, მისი ბაგენი კოცნით გადაეწვდო ნაზ ქმნილებას.

შეწყდა სიმთა კვნესა, ყოველივე დაბნელდა.

ჭიანური ძირს დაენარცხა.

მისი დამკვრელი მოწყვეტილი იქვე ჩაიკეცა.

ჭიანურზე სიმი გაწყდა.

...გაქრა ბურანი, მასწავლებელი დატორტმანდა, აირია, გაიხედა... თითქოს ეხლა გათენდა: ორი გაწყვეტილი სიმი დაინახა.

...და, ვით დაჭრილი ავთარი, გარეთ გავარდა...

ბ

გამოცდა იყო. მუსიკოს ქალის გამოსვლას ყველა გულის ტოკვით ელოდა.

— აბა, აავკნესე ჭიანური, გისმენთ, ჩვენ ვიცით გამოცდა არ გჭირდება, მაგრამ გვინდა მოვისმინოთ, სული დავიტკბოთ.

მუსიკოსი სდუმს, ჭიანური ხელში უჭირავს, მაგრამ მის სიმებს ვერ მიჰკარებია.

— გისმენთ,—იყო კიდევ მასწავლებელთა ერთხმა მოწოდება.

პაწია შეკრთა, უპასუხა:

— არ შემიძლია...

და ამღვრეული თვალები მასწავლებელთა შორის ერთს მიაპყრო.

ატოკდა, აკვნესდა მისი სული და მოსხლეტილი კედელს მიეყრდნო.

ხელიდან ჭიანური გაუვარდა, სისუსტით მიილულა, ყვითელმა ფერებმა დაუჩრდილეს სახე.

მასწავლებლები წამოიშალნენ, აიყვანეს, დააწვინეს; ის უხმოდ კუთავს, შფოთავს, ტირის, არვის უსმენს.

იქვე დგას ერთი მათგანი, ისიც, ვით ავადმყოფი მოწაფე, გაყვითლებული და კრთება მაშინ, როცა ვიღაცა გულიდან ამოსძახებს:

— რისთვის გაწყვიტე?..

ქ. გერგესული

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შენ

ქვდება დღეები სიფაქიზებითა ალული:
ჩემს დამზრალ ღაწვებს ებარება ფერი სიყვითლის.
ო, მაჯადოებს შენი სახე გაფერმკრთალული.
მიმქროლი წუთი კუბოს ფიცრებს სიჩქარით მითლის.

შენსკენ მოვყევარ ყოველ ღამე სიზმრის ზმანებებს:
მთრთოლვარე ხელებს ეწაფება ბაგე დამთვრალი.
მაგრამ ვილაცა ამ ლატკბობას აღარ მანებებს.
შურისძიებით შემომცქერის ძალზე გამწყრალი.

ვხედავ, რო გტანჯავს შენ უიმედო სიყვარული:
შორიდან როცა მეთხოვები მოკლული ღიმით.
დათალხულია ჩვენი ბედის სხივი მთვარული
და ქედს კი მაინც რომ არ იხრი, ვგიჟდები იმით.

**ლადო პერტაია**

# ს. ხეთის დრამატიული წრე *)

ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება.
**ნ. ბარათაშვილი.**

ღირსმნიშვნელოვანი წარსული აქვს ს. ხეთის დრამ. წრის გაჩენას. 1919 წ-დე იგი ოფიციალურად არ არსეობდა. მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ, 1919 წ. 10 აგვისტოს, ჩამოყალიბდა ნამდვილ და მტკიცე ორგანიზაციად. მანამდე, განსაკუთრებით 1895 წ-ნ დაწყებული მისი არსებობა გამოიხატებოდა პრაქტიკულ შემოქმედებითი მუშაობაში, ე. ი. სდგამდა წარმოდგენებს, როგორც ადგილობრივ, ისე სხვა და სხვა დაბა-სოფელში.

ძველი რეჟიმის სუსხი ნებას არ აძლევდა ფართოედ ეწარმოებინა მუშაობა და მოითხოვდა მისი მოქმედების თავის სურვილთან შეთანხმებას. ამიტომაც ს. ხეთის სც. მოყვარეებს უხდებოდათ ყოველთვის ეკნობებიათ თავის განზრახვა მთავრობისთვის; მთავრობა კი ხშირათ სრულებით აღუკრძალავდა ხოლმე წარმოდგენას. მაშინ უნდა გენახათ მათი მდგომარეობა!.. ამ დროს ისინი „საკატორღოდ“ გამზადებულებს მოგაგონებდნენ! ხოლო, თუ გამოიჩენდნენ მედგრობას, მაშინ პოლიცია ჭექა-ქუხილით თავს დაატყდებოდა, რათა ვითომ თავხედობისთვის შური ეძია. თვით ერთი ჰუმანიტარეს „პრისტავის“ ბრძანებით ორჯერ ჩაიშალა წარმოდგენა და სანახავად მოსული ხალხი უდიერათ იქმნა გარეკილი.

ამასთან მეორე მიზეზიც იყო: ხალხის მოუმზადებლობა. მაშინ ხალხის დიდ უმრავლესობას სრულებით არავითარი გაგება არ ჰქონდა წარმოდგენისა და ვისაც ჰქონდა, ისიც ბუნდოვანი. ზოგი ამას „ცირკს“ ეძახდა, ზოგი კი ამნაირ „ქარაფშუტაობით“ მოთმინებიდან გამოსული გაანჩხლებული „ეშმაკობით“ მოსპობას უქადდა

მაგრამ თავდადებულნი არ უშინდებოდენ.

პირველად წარმოდგენა გაიმართა აწ განსვენებულ ამხ. თ. კობახიძის სახლში. დაიდგა გ. ერისთავის „ძუნწი“ წარმოდგენას დაესწრო 30—40 კაცი, რომელთა უმეტესობას მხოლოდ პარიკები და სახის გამომეტყველების ცვლილება აინტერესებდა.

— ჰი, რა დიდი ულვაშები ჰქონდა ბ-ნ ვლ. ნაჭყებიასო ან რა რიგად იყო ჩაცმული ბ-ნი პ. მეუნარგიაო! გაკვირვებით გაიძახოდა ზოგიერთი დამსწრეთაგანი.—უმრავლესობა ამაში ხედავდა „ფოკუსნიკობას“

ეხლა იკითხავთ, თუ ვინ იყვნენ ასეთი თავ განწირულნი მოჭირნახულ-მუშაკნი? ესენი იყვნენ და არიან: ბ.ბ. 1) ვლ. ნაჭყებია, 2) პ. მეუნარგია, 3) ყ. კიკიანი (განსვ.) 4) თ. კობახიძე (განსვ.) 5) კაპ. კობახიძე (გან.) 6) ე. კობახიძე, 7) ს. კობახიძე და 8) ტ. და ნ. ლატარიები, ქ-ნი 1) სონია, ნადია და თეოდოსა დავითის ასულნი კობახიძენი და 2) ჩ. კობახიძის ასული (განსვ.)

აი, ესენი იყვნენ პირველი მოციქულები ხელოვნებისა, რომელთაც ს. ხეთაში დაარსეს თეატრი და ხალხში გაავრცელეს მისი მნიშვნელობა. მათ თანდათან შეაგნებინეს და გააცნეს ხალხს თეატრის მნიშვნელობა. ამასთან მუშაობაში ჩაითრიეს და გამოზარდეს მრავალი ახალგაზდა სც. მოყვარენი, რომლებიც ეხლა იმგვარივე გულწრფელობით მუშაობენ ადგ. სცენის საკეთილდღეოთ.



**ხეთის სცენის მოყვარენი.**

აქ არიან: ქ-ნი მარიამ (ხუხა) ნაჭყებიას ასული კობახიძისა, ლიდა ანდრო კოდუას ასული და მარ. მიხ. კობახიძის ასული; ბ-ნი: ვლად. ბეჟ. ნაჭყებია, პეტ. პავ. მეუნარგია, ვარ. კონდ. ნაჭყებია, კოლა კ. ბუკია, დოროთე ნიკ. კიტია, აკ. ივლ. ნაჭყებია, კაპ. პავ. გოგუა, არ. ქირია, პარ. კონსტ. ლატარია, სილ. პავ. გოგუა, არს. პავ. გაბრავა, ალ. სოლ. საჯაია, ალ. ის. ნაჭყებია, აქაური სცენის დამხმარე—ხელის შემწყობი სევ. ბუკია და შუაზე იოსებ იმედაშვილი (სურათი გადაღებულია „თ. და ც.“ საღამოს გამართვის სახსოვრად).

ამავე დროს გაჩნდენ ისეთი პირებიც, რომლებიც არ თამაშობენ სცენაზე, მაგრამ აძლევენ, როგორც სულიერ ისე ნივთიერ დახმარებას. ასეთნი არიან თ. ქირია, ი. ლატარია და სევერიანე ბუკია. ამ უკანასკნელმა ამ მიმდინარე წელს ათასი მან. (1000 მ.) შესწირა იმავე წრეს სცენის სასარგებლოდ.

სამწუხაროდ წრეს არა აქვს საკუთარი შენობა თეატრისთვის. ამიტომ უხდება, თუ ასე შეიძლება ითქვას „ექპრომტად“ წარმოდგენის გამართვა, ხან ადგ. სკოლის

*) ამიერიდან ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება სათეატრო ისტორიის მასალები ჩვენის ქვეყნის ყოველი კუთხის, ყოველი დაბა სოფლისა და ქალაქის თეატრის თუ დრამ. წრის ალორძინების შესახებ. ვსთხოვთ მოგვაწოდონ შესაფერი მასალები. სასურველია სურათებიც. წერილები უნდა იყოს მოკლე, მაგრამ უტყუარი ცნობებით სრული.
რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დარბაზში ხან კერძო სახლებში, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

გასული 1919 წ. მარიამობისთვის 17 გაიმართა კრება აქაურ მოწინავე ინტელეგენციის თანადასწრებით. ამ კრებამ დამსწრეთ დაუსურათა უმწეო მდგომარეობა დრ. წრის საკუთარ შენობის უქონლობის მხრივ და მიმართა თხოვნით, რათ დახმარებოდენ, როგორც საკ. შენობის, ისე მისთვის საჭირო მიწის შეძენაში. ეხლ- თითქმის ყველა მათგანი ადგ. ერობის წევრია და იმედია, პარტიულ კინკლაობაში არ გააქარწყლებენ დაპირებას, ყურადღებას მიაპყრობენ ამ დიადი საქმის — სახალხო სახლის საკუთარ მიწაზე აგებას, რის მოთხოვნილებაც ხალხში დიდია, რასაც ხეთაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვ. მასკურელი.

# თეატრი პროვინციაში

ადამიანს მუდამ თან სდევს წყურვილი სილამაზის ხილვისა, უმაღლეს განცდისა, მშვენიერებაში შვების გრძნობისა.

ჩვენს დროში ადამიანი დაკნინდა; იგი დაუძლურდა და ლამის არის ყვითელმა ინტელლიგენტმა საზეიმო დღესასწაულიც კი გაჰმართოს.

ხელოვნება უნდა მიუშველოს დღევანდელ მაქალაქეს, რომელიც ავტომატიურ, თვითმომქმედ უსულო მანქანას დამსგავსებია.

ამ მხრივ უფრო დინამიურია ქალაქის ცხოვრება. აქ უმეტესადაა დახშული ადამიანის ძლიერი ნება, და ამიტომაც არის, რომ პირველად ქალაქში აღენთო ხელოვნების მწველი კოცონი.

ძველს დროში სოფელი იყო ხელოვანთა სავანე, იქ იქმნებოდა წარმტაცი იდილიური სურათები, დღეს ქალაქი მესვეურობს ცხოვრებას; ქალაქში იწყეს სიმღერა ხელოვანთ. თეატრები ქალაქიდან სოფელსაც სწვადა იგი, სარკეა ცხოვრების, გამასწორებელი იარაღი.

დღეს ჩვენს პროვინციებში ბლომად არსებობენ სათეატრო სახლები. იშვიათია ისეთი დაბა, მოზრდილი სოფელი, სადაც თეატრის შენობა არ არსებობდეს. მაგრამ ვინ იცის, თუ რამდენად საცოდაო და უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი პროვინციის სცენა: არც დეკორაცია, — ეს თვით გარეგნობა ცხოვრებისა, — არც სტილი, ინტონაცია, მიმიკა. ჩვენი პროვინციის სცენა — ეს ცრუკლასიკური რამ არის. იდგმება ისეთი პიესები, რასაც ხელოვნებასთან სრულიად არა აქვს კავშირი. ხელოვნება ხელოსნობად იქცა, რაც დიდათ სცემს ხალხის თვალში ხელოვნების დიდ ღირებულებას. მომავალში ეს არ უნდა იქნეს: საჭიროა, ახლავე მიექცეს ამას ყურადღება. დაგვიანება მეტ ზიანს მოგვიტანს. ამისთვის ყოველმა დაბამ თუ სოფელმა, სადაც კი არსებობს თეატრის დარბაზი და სცენის მოყვარეთა წრე, უნდა შეკავშირდენ და გამოიმუშაონ საერთო გეგმა. საჭიროა ამას ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს. დაყოვნება საქმეს ავნებს...

შალვა ქავთარაძე



სომეხთა მსახიობქალი მაისურიანი შანტის პიესაში „კ ა ი წ ე რ"

# ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაშვილი

(მისი 25 წლის სამუსიკო მოღვაწეობის გამო).

ნ. სულხანიშვილის უდროვოდ სიკვდილმა ძალიან დაალონა ჩვენი საზოგადოება. და დაალონა უფრო იმ მიზეზითაც, რომ მან ვერ დაამთავრა თავისი ოპერა „პატარა კახი". სინანული სიკვდილის შემდეგ უნაყოფოა. სულხანიშვილი ბევრჯელ ჩამოიყვანეს შეპირებით თელავიდან თბილისში, მაგრამ უბრალო ალაგის შოვნაც კი გაუჭირდა, მინამ რკინის გზის მუშების კომიტეტმა იგი არ დააბინავა.

ანდრია ყარაშვილი ჩუმი სამუსიკო მოღვაწეა. სწავლა მიიღო პეტროგრადში, შემდეგ, როგორც პოლიტიკური დევნილი, ვარშავას წავიდა. იქ კონსერვატორიაში დაამთავრა თავისუფალ ხელოვნის ხარისხით. ბოლოს ჩამოვიდა საქართველოს და შეუდგა სამუსიკო მოღვაწეობას, როგორც მასწავლებელი და კომპოზიტორი.

მისია „სამშობლო", „ლოთები", „ბაიათი", „დავრდომილი სნეული", „მრავალ-ჟამიერ" და მრ. სხ. სწერს დიდ ქართულ ოპერას „ვეფხის ტყაოსანს". დაამთავრა უკვე ორი სურათი. ამ ჟამად ავადაა. საჭიროა საზოგადოებამ დროზე დააფასოს მისი მუშაობა და შეძლება მისცეს დაამთავროს დაწყებული ოპერა. ვუსურვოთ მხცოვან კომპოზიტორს დღეგრძელობა თავის სამშობლოს საკეთილდღეოთ.

ქართლ-იმერელი

# ჩემს მიჯნურს

(რომანსი)

შენი ვარ გულით, შენი ვარ სულით,
შენთვის ვიმღერი, შენთვის ვსტირი მე;
შენზედ ვლოცულობ, შენს თავს ვფიცულობ,
შენით ვსულდგმულობ, შენი ჭირიმე!

ჩემი ოცნება მხოლოდ შენა ხარ,
მხოლოდ შენ გეტრფი, შენ ერთი მივი;
სხვა მიჯნურს არ ვსცნობ... მე შენ მიყვარხარ,
შენ გიგალობ და შენვე გიყივი!

მიბრძანე ოღონდ—თუნდ ზღვას დაგიშრობ,
ოღონდ ისურვე—ზღვად გიქცევ ხმელსა;
მაჩვენე მტერი—მის მკერდს გაგიპობ;
მოვსპობ იმის ლანდს და მისს სახელსა!

რავქნა ყარიბმა, სიცოცხლის გარდა
რა შემოგწირო, რა, ჩემო მწველო?
ჰა, მიიღე ეს მცირე მსხვერპლი,—
ის შენ გეკუთვნის, შენ, საქართველო!..

ივერიელი



სომეხთა მსახიობქალი მაისურიანი გორდონის პიესაში „ზღვის გაღმა“

# ნამუსიანი ხალხი

პიესა ერთ მოქმედებად თანამედროვე ცხოვრებიდან.
(ძღვნად ნიკო გოცირიძეს)

IV იგინივე მიკიჩა და მარგო.

(დასასრული იხ. „თ და ც.“ № 4)

**თედო** (ულვაშებს გაიწკიპავს და მარგოს ჩესტს უკეთებს) ზდრავიია ჟილაიმ...

**მიკ.** ვა, გენერალია!

**თედო** ჩემი კი,—სხვისა რა გიბძანო! (ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს)

**მიკ.** პრომტი, პრომტი! ხომ გათავებული საქმეა.

**მარგო** მადლობა ღმერთს, ცოცხალი დაგინახე...

**თედო** ღვთის რისხვა იყო, ღვთის რისხვა!

**მარ.** აი, ღვთის რისხვა შეეყაროს, ვინც ეს ომი მოიგონა, აჰანდე, და შენც გაგიტყუა...

**სერ** (თვალს გადაჰკრავს მარგოს, თავისთვის) „ნიჩევო სებე, ნე მეშალო-ბ“ ერთი როგორმე... (თედოს) „ტავარიში, კტო ანა ტაკაია?“

**თედო** ენტა მაია ჟენა ბუდით...

**სერ.** ახ, ვოტ კაკ... ზნაჩიტ ეშჩო ნეტ, ანო ბუდეთ...

**თედო** ტაკ ტოჩნა... აბა, ნათლია მიკიჩ, თუ რამე გაქვს მოგვიტა, თორემ სახლამდე ნაწლავები დამწყდება...

**მიკ.** ვა, შენი სახლი არ არის! არა, პირველი ხომ არ არის?..

**სერ.** ტავარიში, ერთი კამპანია გავაკეთოთ, ნე ლუჩშე-ლი!

**მიკ.** ჰო და მე და ჩემმა ღმერთმა! (მაგიდებს შეაერთებენ, დ სხდებიან)

**თედო.** აბა, მაშ ერთი შენებურად გაისარჯე...

**მიკ.** შენ შენი ბრძანე, დანარჩენი თითონ მოვა! (მოართმევს სასმელ-საჭმელს)

**თედო.** რაღა ბრძანე: ვინც მოვასწარით, ხათქახუთქით ჩავსხედით პოეზდში, რამდენიმე ათასი მალლა ბანზე მოვექეცით და ჯერ თოფი არც კი გავარდნილიყო, რომ ბათუმიდან ფხაჭი ვკარით. შევხედო გენერლები იძახიან: სტოი, დაიცა, მაგრამ დელა ნიატუ... ყურს ვინ უგდებს?! მეც მოვახტი და...

**მარ.** (თითქმის თავისთვის) ვენაცვალე ჩემს მამაპაპათა სალოცავებს!.. ი წმიდა ესტატეს ერთი ქედილა შევუთქვი და უნდა დავკლა...

**გასპ.** პოზიციებზე დარჩა ვინმე?

**თედო** მხოლოდ ერთ ფრონტზე,—ანარიაზე ერთი კაპიტანი შავგულიძე მოიმწყვდა სამოციოდე ბიჭით და თავიც შეაკლა... მუდამ ჯვრების ეშხში იყო და ეღირსა კიდეც, მაგრამ ოქროს მაგიერ ხის ჯვარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე ლომთათიძე

დუქნის
ახლა კი: „მო
გავხდებიო“... ვა,
ბდა! გასაკვირველი რა
ემე, დიდი კაცი გამხდარა,
ანში გამოჭიმულა, ავტონომ
ის და ზაკონის კანონსა სწერ
. ტყუილად კი არ დაუწერნია
ნის გადატრიალება მოხდებაო..
და რაღა!.. (ამ მონოლოგის დრ
არებლის სტვენა, მიგიჩა გა
პაჰ, პაჰ!.. აბა, თუ ჯა
უყურე და... ვა, მა
პატრონი და

ვახტანგ ორბელიანი

მამულიშვილი-მგოსანი, რომელიც ერს უნერგავდა სამშობლოს აღდგენის იმედს: „ჩვენი ივერი, მშვენიერი კვლავ განახლდებაო“.

## განიხარეთ უკვდავთა სულნო! *)

თქვენ, რომელნიც ბნელ-უკუმეთ ღამეში მზის ამოსვლას გვიმახარობლებდით,—

თქვენ, რომელნიც უკუღმართ დროში სამშობლოს განთავისუფლებას გვიწინასწარმეტყველებდით და მისს რწმენას გვიღვივებდით, —

თქვენ, რომელნიც ნარ-ეკლიან გზით ვიდოდით, ეწამებოდით, იტანჯებოდით, და მაინც ხალხს მუდამ მტკიცე რწმენით ემსახურებოდით,—

თქვენ, რომელნიც სამშობლოს თავისუფლების გარიჟრაჟზე განუშორეთ წუთისოფელს და მუდამ სანატრელ თავისუფალ სამშობლოს მზის სხივთ ვერ ეღირსენით,—

განიხარეთ! სამშობლო მარადის გადიდებთ... დღეს თქვენი ზეიმია!..

დიდება, დიდება, დიდება თქვენდა!

იოსებ არიმათიელი

## მარცვლები

— სიყვარულის ფესვი შარბათია, კენწერო ხშირად ბალღამი.

— თუ ბედნიერება გინდა—სხვის ბედნიერებას ნუ დაანგრევ.

— წმინდა სიყვარული მხოლოდ უბიწოების საფუძველზე უნდა აღმოცენდეს.

იოსებ არიმათიელი

**მარ.** მადლობა ღმერთს, რომ თავი გამოასწარ...

**მიკ.** თათარი ბევრი იყო?..

**თედო** თათარი, თათარი... (უნდა რაღაც სიცრუე მოიგონოს, მაგრამ ვერ მოუხერხებია) თათარი!..

**მიკ.** ჰო, თათარი რამდენი იქნებოდა?

**თედო** სანამ იქ ვიყავი, მე კი ყველაზე ბოლოს გამოვედი,—თათარი თვალითაც არ დამინახავს... მაგრამ ხმა დადიოდა: რამდენიმე ჰარახოდი მოდის, მოდის და შავ ზღვას მოაბნელებსო...

**გას.** ეს ღმერთმა გაუმარჯოს შენს მშვიდობით დაბრუნებას...

**ხერ.** გაუმარჯოს შენს მეორედ დაბადებას!..

**ყველანი** გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

**მიკ.** არა, ღმერთი აიტანდა, ეს ორი გვრიტი ერთმანეთისვის მოეშორებინა? სოვისტ იოხტურ? ქათამი წყალს დალევს—ღმერთს შეხედავსო!(მარგოს) ღმერთმაც იფიქრა, იფიქრა და ეს ყარამან-ყათრანივით გმირი ბიჭი სახლში დაგიბრუნა, ხაზეიკა-ნათლიდედ; ახლა შენი ოჩერედია, ვნახოთ რა პატივსაც გვცემ...

**თედო** (შეურაცხყოფ იგრძნო) ვინა! ბალშენიკის პრაგრამა რომ არა მწამდეს, განა თათარს გამოვაჰაჰანებდი... მაგრამ პირველმა მე გადავაფრიალე თეთრი ფლაგი: ჩვენ ომი არ გვინდა, ვისაც გული ერჩის, იმან იომოს მეთქი... ვსთქვი თუ არა, ერთი ასამდე სალდასტი წავეხვიენით ჩვენს ჩიხაოს, კრასნი კრესტსა და ვეშჩევოი სკლადს... აბა, გიხაროდეს, რაც ჩვენ ვითავხელეთ,—ნამუსიანი ხალ-

*) ეს წერილი მე-3-ე ნომერში ვერ მოთავსდა. რედ.

ხიც შევხვდით: სუ [illegible] გავიყავით, ვინც რას მოერეოდა... [illegible] რუსხელმწიფე თურმე შიმში [illegible] ოთავდა, ჩვენს საზრდოს ვ[illegible] [illegible]ებში აგროვებდა... ჩვე[illegible] [illegible]ინდომა ამ ქონების ხ[illegible] [illegible]ტის შტიკმა გაიმარ[illegible] ჩვენ უვლიდით, [illegible]... წავიდეს ახლა [illegible]

(რომანსი)

[illegible]ით, შენი ვარ სულით,
[illegible]ერი, შენთვის ვსტირი მე;
[illegible]ცულობ, შენს თავს ვფიცულობ,
[illegible]დგმულობ, შენი ჭირიმე!

მხოლოდ შენა ხარ,
[illegible]ტრფი, შენ ერთი მივი;
[illegible] ვსცნობ... მე შენ მიყვ[illegible]
შენვე გიყივი!

**მიკ.** ჯ[illegible] [illegible]ეკაცობას!..

**სერ.** (უმ[illegible] [illegible]... ვსე ეტო ტრინტრავა... [illegible]იომ ..

**გას.** ვა, კა[illegible] ზნაჩიტ ახლავე ხელი ავიღოთ, ესლი [illegible] [illegible]ტ ბუდით?..

**სერ.** მაგრამ ღვინო და ქალები მთელ ქვეყანას სჯობია... (თან ირიბად გადახედავს მარგოს, მერე გასპარას და მიკიჩას. ორივენი თვალს ჩაუკრავენ. სერიოჟა გაურჟოლდება, შეიშმუშნება, ვნებათა ღელვაც ადექვრის. საინები შეარხევა, რავდენიმე ჭიქა გადავარდება) დავაიტე ვინა ი... ბოლშე ნიჩევო...

**მიკ.** (აიტკრიცება, თითქო უნდა გაჯავრდეს, მაგრამ ყალბი ღიმილით) ვა, გულაი ტავარიშჯან, სკოლკა ტვაია დუშა უგოდნა ..

**სერ.** ა ბეზ ჟენშჩინ ვინო — ნიჩევო ნე სტოიტ...

**გას.** აი, მართალი სიტყვა მედა ჩემმა ღმერთმა! (თან მარგოს გადახედავს ყაჩით)

**სერ.** და მალე ცხოვრება ისე... ისე... ნუ ისე გაკეთდება, რომ ყველა ქალი ყველასი იქნება, მთელი ქონება — ყველასი... მაია-ტვაია ნე ბუდეთ... და ძლიერ მალე ეს ასე იქნება... როგორც მამა ღმერთმა ბრძანა: „და ბუდეთ სვეტ" იყოს ნათელიო, ისევე ჩვენმა მამამთავარმა ლენინმა ბრძანა: „და ბუდეთ სოციალიზმ" — იყოს სოციალიზმიო, და იქნება კიდეც... ა ჟელი კტო ნიბუდ ნე პოჟელაეტ, ტო მი ვსეხ რაზზაბიომ, რაზზაბიომ... (მუშტს არტყამს დაზგას, მიკიჩა მივარდება, რომ ბოთლები არ გადმოცვივდეს)

**მიკ.** ეგ ეგრეა, მაგრამ აგრემც მამიშენის სული სამოთხეში განისვენებდეს, ჩემი ბოთლები შეიბრალე...

**სერ.** კ ჩორტუ მამის სული, სამოთხე... შტო შენი ბოთლები? გროშ ცენა... ვედ მაშინ, სოციალიზმის დროს, არ იქნება „ჩემი" „შენი"... მაშინ ერთი იქნება, რადგან ჩვენ ყველანი ძმები ვართ...

**თედო** მაშა! აი ჰწორედ ამიტომ ვიბრძოდით და ვიბრძვით... ბათომსაც მაგიტომ გავანებე თავი... მაშ გაუმარჯოს ნეფე ლენინს!.. მრავალჟამიერს)

**მიკ.** ვა, მამაცხონებულო, ბულბული სახლში მყავდეს, ყვავი ვამღერო! (თედოს) უკაცრავად, შენზე არ მიიღო... აბა, ხაზეიკა, ერთი შენებურად დაამღერე...

**მარ.** რა დროსია?

**მიკ.** რაღა უდროვოა! ერთი გიტარა მოგიტანო! (გავარდება)

**მარ.** არ შემიძლიან მეთქი!

**სერ.** პროსიმ, პროსიმ!..

**სერ.** ვა, იცი ლამაზი ქალის სიმღერაზე რა მემართება!..

**მიკ.** (შემოუტანს გიტარას) აი, ესეც შენ გიტარა... (გადასცემს)

**მარ.** (ყალბი უარით) რა ვქნა, არ შემიძლიან მეთქი... (გიტარას გამოართმევს და ჰმართავს) არც კი ვიცი რა ვიმღერო...

**სერ.** რაც შენს გულს მოსწონს... (უსმენენ)

**მარ.** (მომართავს და დაამღერს)

„შორის გზიდან სატრფოს ველი,
სხვა მოდის და ის კი არა!"
სატრფოვ შენმა სიგვიანემ
გულში ლახვრად გამიარა..
წყეულ იყოს ქვეყნის საქმე,
რამაც ჩემს თავს დაგაშორა...
მოდი, მოდი ჩაგეხუტო,
რო მომირჩეს გულის იარა!..

**ყველანი** ბრავო, ბრავო!.. (ბოლო სიტყვებს გაიმეორებს. თედოს ეძინება, თვალთ ეხუჭება, დაზგაზე თავს მისდებს, დაეძინება)

**მიკ.** (ჭიქას აიღებს) ემე, გაუმარჯოს ჩვენს ბულბულს, ღვთის ანგელოზს...

**სერ.** (იმავე კილოთი) შტო შენი ბოთლები... იცი მე ვინა ვარ!.. მალე ჩვენი ბალშევიკების მთავრობა იქნება... მე ვიქნები ბალშევიკების კომისარი, მინისტრი... ნოე ჟორდანიაზე დიდი... რა არის შენი ბოთლები... ნოე ჟორდანია... შენისთანები ასი ათასობით ფეხ ქვეშ გამეგებიან... ბუდუთ ნოგი ცელოვატ, და ვინც არ დაგვმორჩილდება ყველას თავებს დავაყრევინებთ... ბურჟუა ხულიგნებს (ამ სიტყვაზე მიკიჩა შეიშმუშნება) სინსილას გავუქრობთ! (თან მუშტს არტყამს) ეს იცოდე შენა!..

**მიკ.** (თავისთვის) კაცო, მე რას ჩამომეკიდა!.. (იმას) ვაიმე, ვაიმე! განა მე ბურჟუა-ხულიგანი ვარ?!. რა დამიშავებია? მე ხომ თქვენი ტავარიში ვარ... ეს, სიმღერა... (გასპარა ბარბაცით გარედ გადის, თედო ხვრინვას ამოუშვებს)

**სერ.** აი, შენი სიმღერა... (გაათფურთხებს და ფეხით გასრესს) ეგ ბურჟუების საქმეა...

**მიკ** რაც გნებავს, როგორც გნებავს...

**მარ.** (ნაღვლიანი, კუთხეში მიმჯდარი, არ იცის რა ქნას)

**სერ.** (განაგრძობს) და, იცი, მე რა მნებავს? რომ ამ უპატრონო ქალს ვუპატრონო... განა შე-

ძლება ასეთი ქალის უპატრონოდ გაშვება!.. (მარგოს) ეს ღმერთმა გაუმარჯოს თქვენი გულის საყვარელს... ასე არ არის, ამხანაგო მიკიჩ!

**მიკ.** ვა, რაც მართალია—მართალი!

**ხერ.** მაშ ალავერდი შენთან, ტურფა ქალო... მაგრამ ერთის პირობით: ქრისტიანულად დავილოცოთ, სოციალისტურად დავლიოთ, ე. ი. თანასწორად, ბოლშევიკურად... (ხელს გაუწ·დების, მკლავში გამოუყრის, მარგო თავის უნებლიედ ემორჩილება) აბა, დავიწყოთ... (დასცლის, მარგოს აკლია) ძირამდი, ძირამდი... აი, ახლა პროშტი (უცებ აკოცებს) აი, ეს ესმის!.. ეს სოციალისტურია ..

**მარ.** (აიმრიზება, მაგრამ სიმთვრალის გამო თითქმის ვეღარაფერს არკვევს)

**მიკ.** ბრავო, ბრავო,—ჰაი გიდი „სოციალისტური!..“ რომ იცოდე რა ქალია, რა ქალი!.. თავისუფლად აღზრდილი, ამ კარ-მიდამოს ერთად-ერთი პატრონი...

**ხერ.** მერე ლუჩშაგო ჩელოვეკა ნე მოგ ნაიდტი?!

**მიკ** ყისმათია რაღა...

**მარ.** (წამოდგება)

**ხერ.** ნებას მომცემთ მიგაცილოთ...

**მარ.** (ღიმილით აღგზნებული, ცნობა ეკარგება) ჰა!.. ახლო ვსდგევარ აქვე მაღლა... გმადლობთ... მე თვითონ... (ენა ებმის)

**ხერ.** ვსიოჟე... ვოენნოე ვრემია... ათასი ავაზაკია... მე თქვენ როგორ გაგიშვებთ, რომ ვინმემ აბიდა მოგცეთ... ნება მიბოძეთ გამოგყვეთ... მაშ ესეც ჩვენი კეთილი მგზავრობის სადღეგრძელო იყოს.. თქვენი ლოცვა ანგელოზ·ს ლოცვაა, უეჭველად გასჭრის... უნდა მიირთვათ კი...

**მიკ.** აქაო და ქალია—ვითომ ვერ დალევსო, მაგას ბრძანებ რაღა! ერთი შეხედე... (ჭიქებს გამოსცლიან, მარგო ბარბაცებს)

**ხერ.** (მარგოს ხელს წაავლებს, მკლავში მკლავს გაუყრის, ბარბაცით მიდიან, მცირე პაუზის შემდეგ სერიოჟა მობრუნდება, მიკიჩს დააშტერდება) პანიმაიშ მიკიჩ! სჩოტ ზა მნოი!... (გავა)

**მიკ.** (ერთი გაბრაზებით შეხედავს და მცირე სიჩუმის შემდეგ მაგრა გააფურთხებს) მინისტერი გავხდებით, ბოლშევიკი ვართ!.. ჯიბეში კი გროში არა აქვს... სანამ ეგ მინისტერი გახდება—ჩემი ყაფაზა და რუმბი დაიცლება, მოდი და მერე ფეხზე დააყენე საქმე... ისევ ამ ტეტიას კისერზე უნდა დავწერო... ამის ჯანიდან უფრო ადვილად გამოვა! (ჩოთქს გაჭკრავს-გამოჭკრავს) ამას ფულიც ექნება, პოზიციდან წამოიღებდა! (ნაანგარიშევ ჩოთქს გვერდზე მისდებს) ჰეი, გიდი აბასთუმან! აბა თუ ქვეყანა უპატრონოდ დარჩა, ჰა! ძველი დრო უნდა იყოს, ამისთანა ბოსი კამანდებს დუქნის კარებშიც არ შემოვადგმევინო ფეხი, ახლა კი: „ბოლშევიკი ვარ, მალე მინისტერი გავხდებიო“... ვა, ერთიც ვნახოთ მინისტერი გახდა! გასაკვირველი რა არის: ვინ არ გინდა ახლა ემე, დიდი კაცი გამხდარა,—შევხედო სალონ-ვაგონში გამოჭიმულა, ავტონობილით დაჭქრის, ან ზის და ზაკონის კანონსა სწერს... ჰეი, გიდი, ჰა!.. ტყუილად კი არ დაუწერნია ეფრემ ვერდის: ქვეყნის გადატრიალება მოხდებაო... დე, ესეც გადატრიალდა რაღა!.. (ამ მონოლოგის დროს აღაგებს მოისმის მატარებლის სტვენა, მიკიჩა გაიხედავს, ათვალიერებს) პაჰ, პაჰ, პაჰ!.. აბა, თუ ჯარია, ჰა! ერთი მაგათ იარაღს უყურე და... ვა, მაგ იარაღის პატრონი, მაგ ტანის პატრონი და გამოვიქცე?!. აი მიწამ გიყოთ პირი, მიწამა! ტო, ყურუმსაღ, როცა სხვა გიბრძანებს—აფთარი ხარ, როცა შენი თავის პატრონი შენვე ხდები—კატაც არა ჩნდები?! მაგრამ ასე რომ არ იყოს, მაშინ ხომ მთელი ვაჭარი ნამუსიანი ხალხი დავიღუპებოდით!.. ალბად ღმერთი უფრო სამართლიანია...

V იგივე და გასპარა.

**გას.** ( ჰერგაბანილი, გამოფხიზლებული) წასულან?!

**მიკ.** ვა, ისე უცებ სად დაგვემალე!

**გას.** აქ ვიყავ წყაროზე, ცოტა, ემე, ასვეჟაიტი ვქენი,—პირი გავიგრილე... სად არიან?..

**მიკ.** ამას ხომ ხედავ, როგორ ხვრინავს... მაგისი დამაც ტავარიშჩმა წაიყვანა,

**გას.** თუ ძმა ხარ?! ვაჰ, რა ლუკმა დავკარგე... მართალს ამბობ კაცო? ვაი, მე შენი სიფათი რა ვსთქვა!.. მაშ ჩვენ რაღა ვირის თავ-ფეხი?!

**მიკ.** შენ რა დაგიკარგავს—რას ეძებ, შენ ჩემი სთქვა! იცი ოთხმოცდა შვიდ თუმნამდეა დანხარჯი. .

**გას.** (ურწმუნოდ გახედავს განზე) ოთხმოცდა შვიდი თუმანი!!

**მიკ.** სჩოტ ზამნოიო—ეგ ის არის: ზღვაში კენჭი ჩააგდო—მოდი და ამოიღეო...

**გას.** (მძინარე თედოს დასცქერის, ათვალიერებს მის ბარგი-ბარხანას და ტყვიის მფრქვეველს ხარბად გადაჭკრავს თვალს) აფერუმ! ჯან გასპარჯან! ეს რა კარგი ფიქრი ვქენ!

**მიკ.** რა?

**გას.** იცი, მიკიჩ, დაშნაკციუთუნის პარტია დღევანდელი დღის გამო შენ როგორ კაცად მიგიღებს!.. პირდაპირ შუბლში გაკოცებს და პირველ ვინმედ გამოგიყვანს მთელ დუნიაზე...

**მიკ.** ჰა, ჰა! ძალიან ნუ ამწიე, თორემ ფინთად დავეცემი... ვატყობ უხარჯოდ არ უნდა იყოს...

**გას.** რის უხარჯოთ!.. ხედავ ამ იარაღსა და ორ გატენილ მეშოკს! იცი რა ზინეთი იქნება...



**ნასტორ ალექსის-ძე მიმინოშვილი**

პორუჩიკი, სომხებთან ბრძოლაში დაღუპული 1918 წ. დეკემ. 19—წლის შესრულების გამო

**მიკ.** ერთიც ვნახოთ მოიკითხა.

**გახ.** მოიკითხა არა, გადაიკითხა! მე შენ გითხრა ვექსილი არ წამოგიყენოს. ხედავ თითონ თავისი სამშობლოს ჩეხჰაუზი გაუცარცვავს და დეზერტირად გამოსულა,—განა გაბედავს კი ხმის ამოღებას. შენ აქ მოდი, ისე გადავყო, რომ ვერც კი გაიგოს: არც მწვადი დავწვა, არც შამფური. (ჩუმად) ეს პულემიოტი ჩვენ,—თოფი მაგას... ხომ იცი, ცხვარი გასაპარსად გაუჩენია ღმერთს. (გახსნის მეშოკს, ამოალაგებენ ახალთ-ახალ ფეხსაცმელებს ათიოდე წყვილს, თეთრეულს, ბეწვებს, სამაჯურებს, შინელებს, წვივ-სახვევებს და სხ. ტანისამოსს, პატრონტაშებს პატრონებით, შაქარს ჩაის, პურს, ყოველივე ახალს და თვალსაჩინოს გასპარა მიკიჩას მეშოკში ალაგებს, დანარჩენს უკანვე სტოვებს, მეშოკებს თითქმის გაანახევრებს) დრომდე მიაფარე სადმე, რომ ავი თვალი არ ეცეს, პულემიოტს კი მე წავიღებ...

**მიკ.** ახარ ახალ ცეცხლს მიჩენ და!.. ერთიც ვნახოთ... ერთი სიტყვით დავიდარაბის თავი არა მაქვს... ხომ იცი, სანამ ბატონობენ არც ქართველი სოციალდემოკრატი-მენშევიკები დაინდობენ კაცს...

**გახ.** (უცებ ჰინჯაკის ჯიბიდან მაუზერს გამოაჩენს) ამას იცნობ! (მიკიჩა შეკრთება) მაშ გაჩუმდი და ის გააკეთე რასაც გებნები...

**მიკ.** არა, ვინ რას ამბობს... მაგრამ სიფრთხილეს..

**გახ.** მაშ ასე: მე წაველი... დაე, მაგ ბოსიაკს შერჩეს მტრედის გაპტყვნა... (გადის)

**მიკ.** (კარგა ხანს გაშტერებული გასცქერის მიმავალს) აბა, თუ დიდყურა ვირი ვარ ჰაა?! ხედავთ! ყველაფერი ჩემი წავიდეს, ყველაფერი ჩემს დუქანში გაკეთდეს მე კი... ვირის ჩონჩორიკიც არაა... (მიხედავს მძინარე თედოს) არა, არა! ისევ ჩემი თედოს იახა უნდა დავიჭირო!.. (ამ დროს თედოს უცებ ზღართანი მოსძვრება ძირს, მიკიჩა შეკრთება)

**თედო** (უცებ შედრიალდება) გზა, გზა მომეცით.. (თვალს გამოაჭყეტს, გაიზმორება, მიიხედ-მოიხედავს) ვაი, დედიჩემი ღმერთსა, ესადა ვყოფილვარ... ვხედავ პოზიციაზე ვსდგევარ... და უცებ რაღაც შავ-ბნელი წამომწვდა. სული შემეხუთა, ვიშვირე ფეხი, რომ ავშორებოდი, იქიდან თეთრი გიორგიმ შუბი მომაძგერა... და ზღართანიკი მომძვრა... (მიიხედ-მოიხედავს)

**მიკ.** (სიცილისაგან ჩაბჟირებული ჭრელი ხელსახოცით თვალებს იწმენდს) აბა თუ დაეცი ჰა, ნათლულო!.. თავის დღეში აღარ გამაციებს, ისე შემაშინე...

**თედო** რა იქნენ?

**მიკ.** ყველამ თავისი გზა ნახა.

**თედო** ჩემი მარგო?

**მიკ.** შენმა ტავარიშჩმა სერიოჟამ წაიყვანა...

**თედო** როგორ თუ წაიყვანა?

**მიკ.** მკლავში ხელი გაუყარა და... ისე...

**თედო** ვაი, დედიჩემი ღმერთსა, სამი დღე-ღამე არა მძინებია და ეს სად წამთვლიმა... (თოფს სტაცებს ხელს და გაიქცევა)

**მიკ.** (გაჰყურებს) აბა თუ თამაშა იქნება ერთად თუ მოასწრო!.. ჰეი, ვაი!.. წუთი-სოფლის ფასი ერთი თვალის დახამხამებაა რაღა...

**თედო** (მობრუნდება) ნათლია ჩემო კარი დაკეტილი დამხვდა... იქნე წავიდნენ სადმე?

**მიკ.** ფარდები ჩამოფარებული იყო?

**თედო** ფარდები?! (დაფიქრდება, გაიხედავს, სახლს შეხედავს) ჩამოფარებულია!

**მიკ.** ეჰ, მახლას! ნამუსიანი ხალხი ყოფილა!.. მგელმა ბატკანი ჩაიგდო და...

**თედო** (ამ დროს მეშოკებს ათვალიერებს, შენიშნავს, რომ მეშოკებს აკლია, არც ტყვიის მფრქვეველია) ე მეშოკებს რა მოსვლია, სად არის პულემეტრი?

**მიკ.** აბა, შენ ეგა სთქვი და!.. მაგრამ ნათლულო, ჯერ ერთი ეს დანახარჯი გავასწოროთ, მაგასაც გეტყვი... მობრძანდი (ჩოთქს გადმოუღებს) სულ ოთხმოცდა შვიდი თუმანია,—ჩემი სიყმის მზემ სამი კვარტი ღვინო არ მიანგარიშნია... გინდა კიდევ ჩავაგდოთ...

**თედო.** აბა, მაგას როგორ კადრულობ, არ გენდობი თუ!.. (იღებს დასტა ფულს და ცხრა ათ თუმნიანს გამოაძრობს გადასაცემად) აი, სამი თუმანიც მეტი იყოს, ხურდა საჭირო არ არის, მაგრამ ჯერ..

**მიკ.** (სიხარულით აწყვეტინებს) აი, განათლდეს შენი დედ-მამის სული როგორც შენ მე გული დამიმშვიდე. (ხელს გაუწვდის ფულის ჩამოსართმევად).



# იოსებ ქრისტ. თავზერიძე

**(წამების ჯვარზე)**

ხიდისთავის (გურია) თემის თავმჯდომარის ამხანაგი, ს.-დ. კოლექტივის წევრი, რომელმაც თავის თავდადებული შრომით და უანგარო მოღვაწეობით ხალხის ღრმა სიყვარული დაიმსახურა დიდი ამაგი მიუძღვის გურიის ბალშევიკების ნოემბრის აჯანყების ჩაქრობაში. ხიდისთავი, რომელიც გურიაში ბალშევიკების მთავარ ბუდეთ ითვლებოდა, სულ ერთიან გასწმინდა მათგან. მთელი მათი ორგანიზაცია ხელში ჩაიგდო მეთაურებითურთ და მით ნოემბრის აჯანყება თავიდანვე უსუსური გახადა. ბალშევიკების ორგანიზაციამ მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა და ტერორი დაუნიშნა 9 ნოემბერს დ. ჩოხატაურში ბ.ლშევიკების გამოსვლების დროს. საყვარელი მებრძოლი რევოლიუციონერი, ბრძოლის ველზე დაეცა. ხალხის ჯალათებმა მისი ერთგული შვილი არც მიცვალებული დაინდვეს და საშინლად დაასახიჩრეს: მკლავები დაამტვრიეს, ტყვიებით დასაცრეს და ბოლოს სულ ერთიან გაცარცვეს. ამა წლის თებერვლის 8 ზენობანში დანიშნულია მისი სამი თ.ის თ.ვის სამოქალაქო პანაშვიდი.

---

**თედო.** (ფულს უკან დასწევს) ი სომესი რაღა იქნა?

**მიკ.** აბა, ისა ყოფილა რაცა ყოფილა და! გველი გარედან არის ჭრელი, კაცი შიგნიდანო, მაგაზეა ნათქვამი... თურმე კომისრების დიდი ყოფილა და ვაინი მინისტრის ასობი პორუჩენია, ჩინოვნიკი... ჩვენთან კი როგორ იჯდა, თითქოს მამა აბრამის ბატკანიაო... მეშოკები გადაჩხრიკა, ზოგი რა ამოიღო, ზოგი რა—მინდოდა დამეძახნე, მაგრამ მაუზერი დამაჭირა— ხომ არ გინდა შენც იქ გიკრა თავი, საიდანაც ამბავი არავის მოუტანიაო—ხელი დასტაცა პულემეტრია თუ რაღაცა, და ჰერი... ეს მოტაცებული იქნება, ეგ დეზერტირიაო... ვითომ შენ რაღა...

**თედო.** (მოთბინება-დაკარგული ფულს უბეში იკრავს, რამდენიმე ხელს იწვდიდა მიკიხა. შეჭყევირებს) რას გადას გადმოსცემ, რის დეზერტირი, რა ასობი პორუჩენია ჩინოვნიკი... ის ხომ ჩვენი ამხანაგია და ბათომში ჯარს ომის უნარი ჩაუქრო... როგორ, ახლა გამცარცვავდა!.. ერთმა ქალი წაიყვანა, მეორემ ქონება წამართვა .. შენ კიდევ . გამოდის რომ შენც იმათი ამხანაგი ყოფილხარ რაღა... ვაი, დედიჩემის ღმერთსა: ისინი თუ გამისხლტნენ, შენ ხომ ხელში მყევხარ! და ბიჭი არ ვიყო, შენზე არ ვიყარო ჯავრი!.. (დაზგაზე გადაჩეხავს და მიაყოლებს).

**ფ ა რ დ ა.**

მარიამ. 21,—19 წ. **იოსებ იმედაშვილი**

---

# აკროსტიხი

სიტკბოებითა გულ-გავსებულო,
აყვავებულო მრავალ ფერითა,
მზისა სხივები თავზე დაგყურებს,
შენ გადიდებენ ტკბილ სიმღერითა.
ობოლი ჩიტიც შენს წმინდა გულზე
ბევრჯერ მინახავს, ცრემლით სტიროდა,
ლესავდა ენას შენს სადიდებლად,
ობოლს სიცოცხლე შენთვის სჭიროდა!..
ჩემო მშობელო ჩემო აკვანო,
ედემის ბაღად შლილო თვარ ვცდები,
მე შენ მიყვარხარ... მიყვარხარ გულით,
იცოდე, გწამდეს, შენ დაგაკვდები!..

**ლავრო დოლიძე**



**ახალციხის მაზ. ეროზის გამგეობამ** იან. 26 ქ. ახალციხის საკრებულოში გამართა დიდი საღამო „სტუდენტის დღე", —5 განყ. 1 განყ. ეროზის გამგეობის წევრი ჩიმაკაძე პირველად შეეხო სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებას უზენაეს საბჭოს მიერ და ხალხს მოუწოდა, ქალაქის თავს ვსთხოვოთ მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს არარატის რესპუბლიკის დიპლომატიურ მისსიას საქართველოშიო, შემდეგ შეეხო სტუდენტის დღის მნიშვნელობას; 2 განყ. სომხურ ენაზე, წარმოადგინეს 1 მოქ. „გოლ" (ქურდი). ამ განყოფილეფამ ძალიან უფერულად ჩაიარა; 3 განყ. თათრულ ენაზე წარმოადგინეს 1 მოქ. კომ. „დურსუნ ალი ბალი ბადი" აქ თავის როლებში კარგად შეასრულეს პ. ბ-ძინაშვილმა და ა. მაზმანიშვილმა; ა. მატანოვი ხელს უწყობდა საერთო ანსამბლს; 4 განყ. ქართ. ენაზე წარმოადგინეს ვ. გუნიას „დედის ერთა." საუცხოვოდ შეასრულეს იოთამი ე. ჯაჯანაშვილმა და თავლო ს. ბაიბურთელისამ; კარგები იყვნენ აგრეთვე გ. თეთრაძე, ვ. ჯაჯანაშვილისა, პ. ვარძიელი და თ. ვარძიელისა საერთოდ ამ ჩვენ „პატარა მსახიობებს" დიდი მხნეობა და უნარი ემჩნეოდათ: მათმა შრომამ ნაყოფიც კარგი გამოიღო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა ზემო მოხსენებული პირნი; 5 განყ. კაბარე იყო. კაბარეში მონაწილეობდნენ მომღერალი ტომაშევიჩი (იმღერა „დავრდომილი სნეული“, „მხოლოდ შენ ერთს“) და სოგომონოვი (სხვა და სხვა რომანსები) დასდგეს ცოცხალი სურათები: „თავისუფალი საქართველო“, „განათლება“, „დალლილი მწყემსი“ და სხ. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომელმაც დილამდე გასტანა. სახამოზე იყო სამი ზურნი, სამხედრო მუსიკა და სხ. გასართობები.

სამწუხაროდ ამ საღამოში ჩვენი ქართველი სტუდენტობა, ორი სამის გარდა, სრულ გულგრილობას იჩენდა.. ჩვენი სტუდენტობა ქალებში სიარულსა და ნუნ.ეას უფრო ანდომებდა დროს, ამიტომ ზოგი ბილეთი გაუყიდავი დარჩა. ვერც ყულაბებით ფულის მოკრეფა მოაწყეს ქალაქში. სხვა და სხვა გასართობებიდან უფრო მეტი შემოვიდა, ვიდრე ბილეთებიდან. საერთოდ ამ ეროვნულმა საღამომ ისე არ ჩაიარა, როგორც მოსალოდნელი იყო.

**მესხი პავლე გურგენიძე.**

**ავჭალის აუდიტორიაში** ხელოვნება რომ სასაცილოდ არის აღებული, საქართველოს არც ერთ სცენაზე არ იქნება ასე და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ავჭალის აუდიტორია ხელოვნების აკვანი იყო, აქ გაისკვნა თავდაპირველათ ქართულ სახალხო თეატრის საძირკველი, აქ დაიდგა პირველი სახალხო ქართული წარმოდგენა. დღეს ეს აუდიტორია გამვლელ-გამომვლელთა სათელად გამხდარა. ვისაც უნდა შევა, როგორც უნდა ისე გამართავს წარმოდგენას. გამგეობა სრულიად არ ფიქრობს წარმოდგენის მწყობრად ჩატარებაზე. არსებობდა დასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ევტროფი თალაკვაძე, მაგრამ გამგეობის უსაქმობამ ის იძულებული გახადა რეჟისორობა მიეტოვებინა. უნდა ითქვას სიმართლე, რომ სეზონის განმავლობაში ერთი წარმოდგენა არ წასულა უდეფექტოთ. ეხლა მოუწვევიათ მსახიობი ფრანგიშვილი, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, ისიც მალე გაექცევა ავჭალის აუდიტორიას თუ გამგეობა არ შეიცვალა. საჭიროა გამგეობის შეცვლა.

კვირას, იანვრის 25 რევაზოვისა და ბალაშვილის რეჟისორობით დაიდგა ბაჯიაშვილის 3 მოქ. ტრაღედია „სიმდიდრის მსხვერპლი“. პიესა შინარსიანია. ერთი მხრით კაპიტალის წარმომადგენელი გიორგი, მეორე მხრით მუშათა კლასის დამცველი ალექსანდრე. პირველს ასრულებდა რევაზოვი, მეორეს ბალაშვილი. რევაზოვს შეეისხლხორცებია სიმდიდრის მოყვარული, უდროვოთ გამდიდრებულ გიორგის როლი და კარგათაც შეასრულა, მაგრამ მისი ნაკლი ის არის, რომ ოტია ჯოლიას და გიორგის ერთნაირირათ ასრულებს. ტანისამოსი არჩევდა, თორემ გეგონებოდათ ოტიას როლშია და არა „სიმ. მსხ.“ გიორგის როლშიო. ბალაშვილიც კარგი სცენის მოყვარეა, მაგრამ ალექსანდრე ვერ დაგვიხასიათა როგორც რიგია. კარგი იყო ქეთევანის როლში ქ ნი დ. რჩეულოვი, ასეთი როლები მას ემარჯვება. ელენემ (გელოვანი) როლი არ იცოდა. გოჩიტაშვილს (ზახარ-ზახარიჩი) არაუშავდა რა დათიკომ (მოლაშვილი) როლი არ იცოდა, თორემ კარგი იქნებოდა. კარგი იყო თამრო (მ. მარგველაშვილი).

ერთი დიდი ნაკლი: პარტერიდან კულისები სჩანს და ყველა მომქმედნი პირნიც, რითაც წარმოდგენა ხალხის თვალში სრულიად კარგავს ელფერს

**შ. გორისელი.**

# წვრილი ამბები

— **ქართულმა სამუსიკო** საზოგადოებამ დაადგინა თავისი სასწავლებელი შეუერთოს ადგილობრივ კონსერვატორიას და დაარსოს ქართული სახელმწიფო კონსერვატორია, მოსამზადებელ განყოფილებებით. სათანადო პროექტი წარუდგინეს მთავრობას, დაინიშნოს ოცი სტიპენდია ღარიბ და ნიჭიერ ქართველ მოწაფეთათვის.

— **კაპელა და საოპერო სტუდია** თებერვლის 20 მიემგზავრება ბაქოს ეროვნულ კონცერტის და ოპერების გასამართავად.

— **ქართული სამუსიკო სასწავლებელი** გადავიდა პეტრე დიდის ქუჩაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ შენობაში.

— **ახლო მომავალში** კაპელას მიერ გაიმართება საღამო კომპ. სულხანიშვილის ოჯახის სასარგებლოდ, რომელიც დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის.

— **კომპოზიტორ ანდრია ყარაშვილს** შეუსრულდა ოცდახუთი წელიწადი სამუსიკო მოღვაწეობის.

— **თბილისს ჩამოვიდნენ** ცნობილი მოცეკვავენი ლიდა ჯონსონ და კონ. ალფეროვი.

— **ჩუღურეთის** მცხოვრებთა ერთი ჯგუფის თაოსნობით ახლო მომავალში არსდება სახალხო კლუბი.

— **ხაშურის** მოწინავე მუშების თაოსნობით მხატვარი ციმაკურიძე ამზადებს გვარდიელის მოდელს. როცა მოდელი დასრულდება, მუშები ფიქრობენ ხაშურშივე ან თბილისში მაინც ჩამოასხან გვარდიელის ალამი გორათას გვარდიელ ძმათა ძეგლზე დასადგმელად.

— **სოხუმის** ეროვნულ საბჭო მუყაითად მუშაობს დრამატიული დასი ივ. ბარველის რეჟ. და ნ. ჯავახიშვილის მონაწილე მხნედ მუშაობს. წარმოდგენებს აუარებელი ხალხი ესწრება. დაარსეს უპარტიო გაზეთი „მნათობი“ რომლის უკვე 5 № გამოვიდა. გაზეთი პროგრესიულია.

— **მუშათა ცენტრალურ კლუბში** დღეს უნდა წასულიყო კ. გერგესელის პიესა „პირველი გრძნობა“ მაგრამ, რადგანაც წრეში შესაფერი ძალები არ გამო ნ.ხა ავტორმა წრესთან შეთანხმებით პიესა მოხსნა.

— **სახალხო სახლის** ქარ. წარ. მმარ. წრემ რეპერტუარში შეიტანა კ გერგესელის პიესა „ნიღაბ—ქვეშ“

— **მსახიობი პ.** ფრანგიშვილი ავჭალის აუდიტორიაში მიიწვიეს რეჟისორად.

— **წიგნის მაღაზიები**: 1) წ. კ. საზ.ამ გადმოიტანა რუსთველის პროსპ. ქაშვეთის პირდაპირ ქიმში; 2) ალ. არაბიძემ – ქართ. კლუბის ეზოში. აქვე აპირებს სტამბის გაღებას.

— **სცენის მოყვარე** არ. ციხისთავს 30 წ უსრულდება, რაც სახალხო სცენას ემსახურება.

**დრამ. საზ-ის კრებამ** ამოირჩია ახალი გამგეობა. დაწვრილებით შემდეგ.

**ნაწიგობრობა**

— **პროფ. აკაკი შანიძის** წიგნაკი: პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის (ზმნის ფორმებში ჰაესა და ხანის ხმარების გამო) ულვლილებათა ნიმუშების დართვით. თავის წიგნაკში პატივცემული პროფესორი ეხება და სწყვეტს იმ სადაო საკითხს, რომელიც არსებობს **ჰ**-აესა და **ხ**-ანის ხმარების დროს. ის სხვადასხვაობა, რომელიც არსებობს ენაში, უნდა მოისპოს, ამბობს პროფ საკითხის ობიექტიურად შესწავლისა და მიუდგომლად გამორკვევის საშუალე-

ბით. წიგნაკში მოყვანილია ბევრი ულვილება. სუფთად არის გამოცემული და ღირს 5 მან.

— **მივიღეთ** თ. მთავრიშვილის მიერ გამოცემული: 1) „მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია" შედ. მ. ყ. ზაალიშვილის მიერ დასურათებული, 99 გვ. ფ. 15 მან.; 2) „საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო", პრ. ა. ვულფიუსი, გად. ს. ცაგერეიშვილს, 135 გვ. დასურათ. ფ 30 მან.

— **იბეჭდება** და ამ რამდენიმე დღეში გასასყიდათ გამოვა თ. მთავრიშვილის გამოცემანი: „სიტყვიერების თეორია", შედგ. კათალიკოზ კირიონ II და გრ. ყიფშიძის მიერ; 2) კაზმულ სიტყვიერების ქრისტომატია „ჩვენი მწერლობა", ნ. IV ს. გორგაძის მიერ შედგენილი. და 3) აკაკის „თამარ ცბიერი".

— **მზად არის გამოსაცემად** „მეცხრამეტე საუკუნე" მდაბიო მკითხველისათვის ფრიად საინტერესო და სასარგებლო წიგნი, ვ. პერცევის ისტორ. ნაკვთები, სანგანიძის მიერ ნათარგმნი.

შინაარსი: შესავალი მეცხრამ საუკუნის ისტორიის ძირითადი თვისებანი. ევროპის მდგომარეობა რესტავრაციის დასაწყისში;

**საფრანგეთი მეცხრამ. საუკუნეში.** საფრანგეთი რევოლიუციის შემდეგ.—კარლოს X და ლიბერალიზმის ზრდა. სოციალიზმი.— ივლისის რევოლიუცია — ივლისის მონარქია'—მღელვარება საფრანგეთში 30-იან წლებში.—სოციალიზმი ივლისის მონარქიის ხანაში.-- „თებერვლის რევოლიუცია.—მეორე რესპუბლიკის დასაწყისი და ივნისის აჯანყება.—„მეორე იმპერია.—ნაპოლეონ III-ის საგარეო პოლიტიკა.—მისივე საშინაო პოლიტიკა. 50-იან წლებში, ლიბერალური რეფორმები – იმპერიის დამხობა და რესპუბლიკის დასაწყისი.—პარიზის კომუნა.—ბურჟუაზიული რეაქცია.—1875 წ. კონსტიტუცია და რესპუბლიკის განმტკიცება.—საფრანგეთი მეცხრამ. საუკ. ბოლოს.

**ინგლისი მეცხრამ. საუკუნეში.** მუშათა კლასის მდგომარეობა მეცხრამ. საუკ. დასაწყისში.—ირლანდია.—დემოკრატიული მოძრაობა და სოციალიზმი.—რეფორმები —ბურჟუაზიის გაძლიერება და მიწისმფლობელთა მნიშვნელობის დაცემა.—ჩარტისტთა მოძრაობა.—მუშათა მოძრაობა.- მუშათა მოძრაობა ინგლისში მეცხრამ. საუკ. მეორე ნახევარში.—გლადსტონის პირველი სამინისტრო.—დემოკრატიული რეფორმები.—მუშათა მოძრაობა.

**იტალია მეცხრამ. საუკუნეში.** 1820 წ. რევოლიუცია იტალიაში. იტალია 20—40 წლებში.—1848 წ. რევოლიუცია იტალიაში.—იტალიის გაერთიანება.—იტალია გაერთიანების შემდეგ.—სოციალიზმი და ანარქიზმი იტალიაში.

**გერმანია და ავსტრია მეცხრამ. საუკუნეში** გერმანიის მდგომარეობა მეცხრამ. საუკუნ. დასაწყისში.—განმათავისუფლებელი ომები.—გერმანიის მოწყობა ვენის კონგრესის შემდეგ.—ლიბერალიზმი და სტუდენტთა მოძრაობა.—კარლსბადის დადგენილებანი და რეაქციის დასაწყისი.—რადიკალიზმი და სოციალიზმი 30—40-იან წლებში. 1848 წ. რევოლიუცია პრუსიაში.—რევოლიუცია ავსტრიაში.—რევოლიუცია ჰუნგრეთსა და სხვა სლავ. სამეფოებში.—რევოლიუციები სხვა გერმანულ სახელმწიფოებში. 50-იან წლ. რეაქცია.—ლიბერალიზმის განმტკიცება და უთანხმოება.—ომი ავსტრიასთან და ჩრდილო-გერმან. კავშირი.—გერმანიის გაერთიანება. „კულტურული ბრძოლა".—სოციალიზმი გერმანიაში მეცხ. საუკუნ. მეორე ნახევარში.—ბისმარკის ბრძოლა სოციალისტებთან და მისი სოციალური პოლიტიკა. ვილჰელმ II. სოციალიზმი მეცხ. საუკ ბოლოს.—ავსტრიის სოციალიზმი.

**ჩრდილო-ამერიკის შეერთ. შტატები მეცხრამ. საუკ.** ტერიტორიული და მრეწველობითი ზრდა შეერთ. შტატებისა —მტრობა ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებ შორის, საურთიერთშორისო ომი და რესპუბლიკელთა ბატონობა

ნაწილი ამ ნაშრომისა ნაწყვეტ-ნაწყვეტ იბეჭდებოდა „სახალხო ფურცელში" 1916 წ. წიგნი შეიცავს 209 გვ თუ ვინმე იკისრებს გამოცემას, მიმართოს თბილისში, არაგვის ქ., 12 სანგანიძეს.

**მსახიობი გ.** არადელ-იშხნელი თებერვ. 1 გარდაიცვალა გორში. განათლებული მსახიობი იყო და ათი წელიწადი ემსახურა სცენას.

— **ბათომში შესდგა** ქართველ მუსლიმანთა დრამატიული წრე. წრეს განუზრახავს წარმოდგენები მართოს ქართველ მუსლიმანთა სოფლებში – აჭარა ქობულეთისკენ. პირველ წარმოდგენა განძრახულია დადგან ქობულეთში არჩეულია „არშინ მალ ალან." წრე თხოულობს პიესებს. კარგი იქნება, ვისაც მოეძევება, საჭირო პიესები გაუგზავნონ შემდეგი მისამართით. ბათომი, ზღვის ქ. № 26 საქ. სახ. ქართველ მუსლიმანთა დრამ. წრის წევრს მემედ-ალი ხარაძეს.—„არშინ მალალანის" პიესა უკვე გაუგზავნა რკინიგზის კულტურულ გან. სექციამ

— **რკინის გზის კვანძის** კულტ.-განმ. კომისიასთან არსებული სცენის მოყვარეთა წრე სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს მუშტაიდში და ნაძალადევში. შაბათ – კვირას (ერთი და იგივე პიესა შაბათს ერთგან, კვირას მეორეგან). წრის შემადგენლობა დიდია რეჟისორად მიწვეულია შ. ბერიშვილი. სცენის მოყვარენი ჯამაგირს იღებენ – ზოგნი თვიურად ზოგნი გამოსვლით. თითქმის 15 პიესა დასდგა, სეზონი დაიწყო. ია ეკალაძის პიესა „ნომერი 21 ჯვრით," რომელიც საზოგადოების თხოვნით რამდენჯერმე დაიდგა. თებერვლის 2 სცენისმოყვარეთან გამგეობამ შეიმუშავა რეპერტუარი. წრე ახლო მომავალში ნაძალადევის ახალ თეატრში გადავა.

— **ახალი სალიტერატურო ჟურნალი „პარნასი"** გამოვა თებერვალში, ახალგაზდა მწერალ-პოეტთა მონაწ.

**შემოწირულება:**

„თეატრი და ცხოვრების" ფონდის სასარგებლოდ: სიმონ ალ. ქვარიანისგან 100 მ. საქართველოს ქალაქთა კავშირისგან 5000 მ. ნიკო მესხისგან 50 მ. დანარჩენ შემომწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით.

**რედ.**

———

**ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-ს** სასარგებლოდ შეკრებილი 1920 წ. იანვრის პირველს (ყოველ-თვიური) ათ-ათი მანათი: ვ. ა. ფრანჩუკმა, კ. ვ. გელაშვილმა, დ. ვ. ლომაძემ, ტ. მამალაძემ, ვ. დ. ბერიძემ, ი. ზ. ნადირაშვილმა, ა. გ. ბარბაქაძემ, ი.



გრიგოლ ვეშაპელი.

ნ. გონგაძემ, ი. ზ. თაბაგარმა. ვ. ა. გონგაძემ, შ. ი. გაჩეჩილაძემ, გ. ა. სახუაძემ, ი. ლ. ფერაძემ, გ. მ. ლაბაძემ, ნ. აბუტიძემ, მ. ლ. კაპლეიმ, ვ. ი. გარაშესაშვილმა, გ. ლომუაშვილმა, ვ. ლომუაშვილმა, ვ. ო. პერესაშვილმა, გ. პ. ჩუმაშვილმა, გ. ა. კახურაშვილმა, შ. მ. მინაშვილმა, ა. მ. ვარდიაშვილმა, მ. გ. ტატიშვილმა, ტ. კ. ვიაზოვსკიმ, მ. ე. ბუგაძემ, ა. მ. გაბადაძემ, ლ. მ. ტაბუცაძემ, ტ. ა. ბარამიძემ, ა. მ. ჩიკვაიძემ, ზ. ი. გოგოლაძემ, დ. ა. ჯახველაძემ, ი. მ. ქურდაძემ, მ. დ. დეკანოიძემ, ა. გ. კუნაშვილმა, მ. ი. ქსანეროპულომ, ხუთმეტ-ხუთმეტი მანათი: ნიკო სიხარულიძემ და გ. გ. მაისურაძემ; ოცი მანათი—სიმონ ბაბლიძემ,—სულ 420 მან.

ზემოხსენებულ პირთაგან ეს ფული რედაქციას წარმოედგინა საგანგებო დადგენილებით, რომელშიც სწერენ, რომ ასეთ დახმარებას ყოველ თვიურად მიაწოდებენ რედაქციას. რედაქცია ყველა ზემორე ხსენებულ პირთ გულითად მადლობას უძღვნის.

რედ.

განცხადებანი მიიღება ჟურნალში დასაბეჭდ. ფასი ზომიერია.

კახური ღვინის საწყობი

„სინათლე“

ვ. გიგოშვილის და ჯოხაძესი

ოლღას ქუჩა, 7. ტელ. 4-36.

СКЛАДЪ КАХЕТИНСКИХЪ ВИНЪ

„СИНАТЛЕ“

И. ГИГОШВИЛИ и ДЖОХАДЗЕ

ТИФЛИСЪ, Ольгинск 7. Тел. 4-36.

პირველხარისხოვანი რესტორანი

შამპანი!

ამხ—ბა ძმათა კერესელიძების და ბაქრაძეთა

(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)

ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თაოსნობით, სასმელები ყოველნაირი. რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი. (წლიური)

უცხო

სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ; მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა.

ფასი 100 მან.

გაწერა შეიძლება „თეატრი და ცხოვრებიდან“

10—2

ХУДОЖЕСТВЕННАЯ ФОТО-ЦИНКОГРАФІЯ Т-ва С. СОГОМОНЯНЪ и А. СЮТЧЬЯНЪ

ТИФЛИСЪ, Пушкинской пассажъ

КЛИШЕ для всевозможныхъ

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.